



სარეკომენდაციო წერილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

ქობულეთის მუნიციპალიტეტი
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო კარიოდისტოვის ფინანსური ანგარიშგების
აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
1.2 მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	4
1.2 მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი იურიდიული პირები	4
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	5
2.1 მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები.....	5
2.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები	6
2.3 საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	8

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის (შემდგომში „მუნიციპალიტეტი“) 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2 მოკლევადიანი ფინანსური აქტივები

გამოვლენილი გარემოებები

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლიდან მოქმედი და 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, 2016 წლის ბოლოს მიმწოდებლებისათვის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დარიცხულმა პირგასამტეხლომ შეადგინა 457,5 ათასი ლარი, საიდანაც ბიუჯეტში გადახდილ იქნა 46,5 ათასი ლარი, ხოლო 44.2 ათას ლარზე მიმდინარეობს სასამართლო დავა. დარჩენილი გადასახდელი ჯარიმა - 366,8 ათასი ლარი, არ არის ასახული ბალანსში, რითაც შემცირებულია ფინანსური აქტივების ოდენობა. (რეკომენდაცია N1)
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის შედეგად, 2016 წლის ბოლოს მოიჯარეების მიერ გადასახდელმა დავალიანებამ შეადგინა ჯამში 7,0 ათასი ლარი, რაც არ არის ასახული 2016 წლის ბალანსში, რითაც შემცირებულია ორგანიზაციის აქტივები. (რეკომენდაცია N1)

რეკომენდაცია N1

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის მიზნით, მუნიციპალიტეტმა, სათანადო ბუღალტრული პროცედურების საშუალებით, უზრუნველყოს საბალანსო მონაცემების კორექტირება.

1.2 მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი იურიდიული პირები

გამოვლენილი გარემოებები

- ა(ა)იპ - ქობულეთის პარკის 2016 წლის ბალანსის დანართ ფორმა N3-ში, ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული თანხების გათვალისწინების შედეგად, პარკის წმინდა ღირებულება არასწორად გაზრდილია 11,7 ათასი ლარით. (რეკომენდაცია N2)
- ა(ა)იპ - ქობულეთის პარკის 2016 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში, სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების ნაშთების არასწორად განსაზღვრის შედეგად, მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი შემცირებულია 4,1 ათასი ლარით. (რეკომენდაცია N2)

რეკომენდაცია N2

მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი იურიდიული პირების მიერ სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები და არსებული ნაკლოვანებების საფუძველზე, უზრუნველყოს საბალანსო მონაცემების და დეკლარაციის კორექტირება.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

გამოვლენილი გარემოებები

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილი ითვალისწინებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვ.) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა. წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტს 2016 წელს გაფორმებული და ასევე 2015 წლიდან მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში, მიმწოდებლებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს მიუხედავად, გარანტორისაგან არ მოუთხოვია შესაბამისი თანხა, ასევე არ გაუტარებია სხვა ღონისძიებები თანხის ამოღების მიზნით. ამასთანავე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების ვადის გაგრძელება განხორციელდა შესაბამისი საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელების გარეშე. მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან საკითხისადმი არასათანადო დამოკიდებულების გამო, ქობულეთის მუნიციპალიტეტმა დაკარგა შესაძლებლობა, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებით, მიეღო შემოსავალი 274,4 ათასი ლარის ოდენობით. (რეკომენდაცია N3)
- ქობულეთის მუნიციპალიტეტს 2016 წელს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მიღებული აქვს სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები და გადახდილი აქვს ჯამში 1 028,6 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არასრულყოფილია და არ იძლევა დანახარჯების კალკულაციის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ დასტურდება ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი 1 028,6 ათასი ლარის, განხორციელებული სამუშაოების ფაქტობრივ ღირებულებასთან შესაბამისობა, რაც საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიურ განკარგვაზე მიუთითებს. (რეკომენდაცია N4)

- აუდიტის პერიოდში გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტების სატენდერო წინადადებასთან არაერთგვაროვანი მიდგომისა და პრეტენდენტების არაობიექტური დისკვალიფიკაციის შემთხვევები, რამაც 53,0 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვა განაპირობა. (რეკომენდაცია N5)

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N3

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც გაზრდის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების მნიშვნელობას და მათი გამოყენების ეფექტურობას. ამასთანავე, განხორციელოს ქმედითი ღონისძიებები მიმწოდებლებისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს ამოღების მიზნით.

რეკომენდაცია N4

მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება მოხდეს, მხოლოდ მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულებების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში. ამასთანავე, გასული პერიოდის შესყიდვებისთვის, საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი დანახარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N5

სახელმწიფო შესყიდვებში ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობის და მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსის რაციონალური ხარჯვის მიზნით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხებისადმი ერთგვაროვანი მიდგომების ჩამოყალიბება და შესასყიდი ობიექტის გათვალისწინებით სატენდერო დოკუმენტაციის სწორად შემუშავება.

2.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები

გამოვლენილი გარემოებები

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის გაწეული ხარჯების შესწავლისას დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული, გამგეობის ბალანსზე რიცხული

ავტომანქანა „ჰიუნდა ix35-ის“ სარემონტო სამუშაოებისათვის გახარჯულია 2,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მანქანა იყო დაზღვეული, თუმცა პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სადაზღვევო კომპანიაზე შეტყობინება დაგვიანებით გაკეთდა, რის გამოც უარი ეთქვათ ზიანის ანაზღაურებაზე. შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების არასათანადო ექსპლუატაციისა და სადაზღვევო პირობების დარღვევის შედეგად, ზედმეტად იქნა გადახდილი საბიუჯეტო სახსრები 2,0 ათასი ლარის ოდენობით. (რეკომენდაცია N6)

- ქობულეთის სანდასუფთავების ავტოპარკი 2016 წელს შეადგენდა 16 ავტოსატრანსპორტო და სპეც. ტექნიკას, აქედან 11 გადმოცემული იქნა შპს „სანდასუფთავებასთან“ 2015 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის თანახმად ქობულეთის სანდასუფთავებას დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცა ქონება, მათ შორის, 290,5 ათასი ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები (ნაგავშიდი, სპეცტექნიკა, ტრაქტორი, პიკაპი და სხვ.). ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმღები მხარე ვალდებულია გაწიოს ყველა აუცილებელი ხარჯი მიღებული ქონების საბაზრო ღირებულების შენარჩუნებისათვის და ასევე უზრუნველყოს მისი პირდაპირი დანიშნულებისათვის გამოსადეგ მდგომარეობაში შენარჩუნება, ხოლო დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე მესაკუთრეს და სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეც.ტექნიკის მდგომარეობის შესწავლისას, ვიზუალური დათვალიერებით და პასუხისმგებელი პირების განმარტებებით დადგინდა, რომ ქონების ნაწილი დაზიანდა 2016 წელს და მათი აღდგენა (შესაძლებლობის შემთხვევაში) საჭიროებს დიდ თანხებს.

ქობულეთის სანდასუფთავების მიერ 2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით შეძენილი იქნა ჯამში 46.2 ათასი ლარის სათადარიგო ნაწილები და საპოხი საშუალებები, რომელთა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, შეძენილი მასალების შეცვლას (მომსახურებას), არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ახორციელებს ქობულეთის სანდასუფთავების ზეინკალი და აღნიშნულთან დაკავშირებით არ ხდებოდა დოკუმენტაციის წარმოება, ხოლო დაზიანებული ნაწილების შეცვლის საჭიროებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია დეფექტური აქტები. აქედან გამომდინარე, შეძენილი სათადარიგო ნაწილებისა და საპოხი საშუალებების ხარჯვის მიზნობრიობა ვერ იქნა დადასტურებული, ხოლო დეფექტური აქტების სისწორე მოკლებულია რეალობას, მასში არსებული უზუსტობების გამო. მაგალითად, მითითებულია, რომ ტრაქტორი დტ 75-ს ესაჭიროებოდა 1 ცალი 100-ამპერიანი დენის წყარო, თუმცა, როგორც ირკვევა ტრაქტორს დენის წყარო ქარხნულად არ გააჩნია.

ქობულეთის სანდასუფთავების საბუღალტრო მონაცემების შესაბამისად, 2016 წელს შეძენილია სულ 135,1 ათასი ლარის 101 577 ლიტრი საწვავი. მათ შორის 12,9 ათას ლარად შეძენილია 9 222 ლიტრი ბენზინი და 122,1 ათას ლარად - 92 355 ლიტრი დიზელის საწვავი. საანგარიშო პერიოდში საწვავის ჩამოწერა ხდებოდა „სატრანსპორტო ფურცლების“ მონაცემების შესაბამისად, სადაც ფიქსირდებოდა ცალკეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაცემული საწვავი, საპასპორტო მონაცემები და მათ

მიერ განვლილი მანძილი (ოდომეტრის მონაცემების შესაბამისად). ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა საწვავის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტები. კერძოდ, ბენზინგასამართი სადგურიდან მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ა(ა)იპ - ქობულეთის სანდასუფთავების დირექტორზე განპიროვნებულ ავტომანქანაზე გაცემულია 6053 ლიტრი ბენზინი, ხოლო „ნაგავმზიდზე“- 10845 ლიტრი დიზელის საწვავი, რაც შესაბამისად, 3073 და 380 ლიტრით მეტია საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებით ამავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაცემულ საწვავზე. (რეკომენდაცია N7, 8)

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N6

შესწავლილ იქნეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების გამოვლენისა და ზიანის ანაზღაურების მიზნით. ამასთან შეიქმას შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების დაზიანების შედეგად მიღებული ზიანის პრევენციას.

რეკომენდაცია N7

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები ავტოსატრანსპორტო და სპეც. ტექნიკის დაზიანებისა და საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით.

რეკომენდაცია N8

ა(ა)იპ - ქობულეთის სანდასუფთავების ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით შეიმუშაოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო და სპეც. ტექნიკაზე გაწეული ხარჯის მიზნობრიობას.

2.3 საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალებების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, საკრებულოს თითოეული წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მიერ საკრებულოს სხდომების, კომისიის სხდომების,

დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა თვეში 397 ლარის ოდენობით. 2016 წელს გაცემულია სულ 99,6 ათასი ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თანხის გაცემის საფუძველი უნდა ყოფილიყო ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. ამდენად, მუნიციპალიტეტმა 2016 წელს 99,6 ათასი ლარის ხარჯი გასწია საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ. (რეკომენდაცია N9)

რეკომენდაცია N9

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს მხოლოდ ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96, 0144
ტელ: +995 32 2438438